№ 00000545

14/05/2024

ბრძანება №545

პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების, სამედიცინო დახმარების აღმოჩენისა და წესრიგის დაცვის წესის ახალი რედაქციით დამტკიცების შესახებ

02.11.2017 წელს დამოწმებული (სანოტარო მოქმედების რეგ.N A171287872) შპს ,,თეგეტა აკადემიის“ წესდებისა და 7.1, 7.3 და 7.7 მუხლების შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს შპს „თეგეტა აკადემიაში“ პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების, სამედიცინო დახმარების აღმოჩენისა და წესრიგის დაცვის წესი ახალი რედაქციითწინამდებარებრძანების დანართი №1 - ის შესაბამისად.
2. დაევალოს შპს „თეგეტა აკადემიის“ საქმისწარმოების სპეციალისტს წინამდებარე ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის გაცნობა.
3. წინამდებარე ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

შპს "თეგეტა აკადემია"
დირექტორი
სიხარულიძე ოთარი

შპს „თეგეტა აკადემიის“

დირექტორის 2014 წლის N 545 ბრძანების

დანართი N1

შპს „თეგეტა აკადემია“

შპს „თეგეტა აკადემიის“ პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების, სამედიცინო დახმარების აღმოჩენისა და წესრიგის დაცვის წესი

ქ. თბილისი

2024 წელი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

შ.პ.ს. „თეგეტა აკადემიის“ (შემდგომში - აკადემია) სარგებლობაში არსებულ შენობებში, მდებარე შემდეგ მისამართებზე - ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის N129, ქ.ბათუმი, გაგარინის ქ.N1, ქ.ფოთი, ლარნაკას ქ.N2, აკადემიის ადმინისტრაციული პერსონალის, პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და პროფესიული სტუდენტების/მსემენელების უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის მიზნით აკადემიას ხელშეკრულება აქვს გაფორმებული აკადემიის მფლობელობაში არსებული სასწავლო ფართის მესაკუთრესთან, შპს „თეგეტა მოტორს“-თან. აღნიშნული ხელშეკრულების საფუძველზე შპს „თეგეტა მოტორსი“ „აკადემიას“, საჭიროების შემთხვევაში, უწევს სასწავლო ფართის ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოებით უზრუნველყოფის, წესრიგის დაცვის უზრუნველყოფისა და აკადემიის პერსონალის და სტუდენტებისთვის /მსემენელებისთვის პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მომსახურებებს, მათ შორის ინსტრუქტაჟის ჩატარებას შესაბამისი მიმათულებებით.

მუხლი 2. ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის წესი

1. ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით შპს „თეგეტა მოტორსი“ მასთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, გამოყოფს აკადემიის სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელ პირებს, როგორც ქ. თბილისში, ასევე, ქ. ბათუმსა და ფოთში, რომელნიც უზრუნველყოფენ:
   ა) სასწავლო პროცესის დაწყებამდე ობიექტის მზადყოფნის შემოწმებას სახანძრო უსაფრთხოებისათვის დადგენილი წესებისა და მოთხოვნების ფარგლებში.
   ბ) აკადემიის ყველა თანამშრომლისთვის (სამსახურში მიღებისთანავე), ასევე, პროფესიულ სტუდენტებისათვის/მსმენელებისთვის, ხანძარსაწინააღმდეგო ინსტრუქტაჟის ჩატარებას.
   გ) ევაკუაციის პროცესის სიმულაციას, მათ შორის, შენობის დაცლას საევაკუაციო გეგმის მიხედვით;
2. აკადემიის სარგებლობაში არსებულ შენობებში, თვალსაჩინო ადგილას, გამოკრულია ევაკუაციის გეგმა, რომლის შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში მოხდება შენობის უსაფრთხო დატოვება.
3. ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით აკადემიის სასწავლო სივრცეში ხელმისაწვდომ ადგილზე განთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი, ცეცხლმაქრები, რომელიც მუდმივად მუშა მდგომარეობაშია. ინვენტარის განთავსების ადგილები აღნიშნულია სახანძრო უსაფრთხოების შესაბამისი ნიშნებით. სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი აკონტროლებს ცეცხლმაქრი მოწყობილობების ვარგისიანობის ვადებს;
4. აკადემიის სასწავლო ფართი აღჭურვილია ცენტრალიზებული დაკვამლიანების დეტექტორით, რომელიც იძლევა შესაბამის სიგნალს ხანძრის საფრთხესთან დაკავშირებით, რასაც მოყვება სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის სათანადო რეაგირება;
5. აკადემიის შენობის სათავსოებიდან და სართულებიდან გათვალისწინებულია სამშენებლო ნორმებითა და წესებით დადგენილი საევაკუაციო გასასვლელი.
6. აკადემიის შენობა-ნაგებობებში აკრძალულია:

ა) სიგარეტის მოწევა;

ბ) ცეცხლსაშიში და აალებადი ნივთიერების შეტანა, გამოყენება და შენახვა;

გ) გათბობა/კონდიცირების სისტემის თვითნებურად ჩართვა/გამორთვა და რეგულირება ტემპერატურის შეცვლის მიზნით.

7. ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც შეამჩნევს ხანძარს/ხანძრის კერას, ვალდებულია დაუყოვნებლივ აამოქმედოს შენობაში განთავსებული სახანძრო სიგნალიზაცია შესაბამის ღილაკზე ხელის დაჭერით, ან/და აცნობოს ამის თაობაზე სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელ პირს ან გამოიძახოს საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტო (112);

8. საგანგებო ვითარების დროს (დეტექტორის ჩართვის და საფრთხის არსებობის შემთხვევაში) საჭიროების შემთხვევაში, სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი უკავშირდება შესაბამის უწყებებს (სასწრაფო, სახანძრო, პატრული და ა.შ.), ხოლო მათ მოსვლამდე მოქმედებს შემდეგი ევაკუაციის წესების შესაბამისად:

ა) აცხადებს განგაშს, უმოკლეს ვადაში, საევაკუაციო გეგმის შესაბამისად, ახდენს შენობიდან პერსონალის, პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა და აკადემიის ტერიტორიაზე მყოფ სხვა პირთა ევაკუაციას.

ბ) ხანძრის ან ხანძრის კერის არსებობისას, სახანძრო სამაშველო ბრიგადის მოსვლამდე, ცეცხლმაქრების გამოყენებით, ახდენს ცეცხლის კერების ლიკვიდაციას.

9. საგანგებო ვითარების დროს აკადემიის პროფესიული სტუდენტები, მსმენელები, პერსონალი და აკადემიის ტერიტორიაზე მყოფი სხვა პირები ვალდებულნი არიან გაეცნონ ევაკუაციის მარშრუტს, რომელიც მითითებულია ევაკუაციის გეგმაში და დაემორჩილონ სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის მითითებებს რათა თავიდან იქნას აცილებული დაბნეულობა.

10. ევაკუაციის პროცესის მონაწილეები ვალდებულნი არიან დაიცვან სიმშვიდე და სიწყნარე, რათა ყველასთვის გასაგები იყოს ევაკუაციის პროცესის ხელმძღვანელი პირის (საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს თანამშრომლი/სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის) მითითებები;

11. ევაკუაციის პროცესში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთან უნდა იმყოფებოდეს აკადემიის თანამშრომელი, რომელიც დაეხმარება მას შენობის დატოვებაში.

12. შენობიდან გასულები აუცილებლად უნდა შეგროვდნენ შენობის მიმდებარე ეზოში, რათა დადგინდეს იმ პირთა ვინაობა, ვინც შენობაში დარჩნენ. მათ შესახებ უნდა ეცნობოს სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელ პირს ან საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს თანამშრომლებს;

13. შენობის დატოვების შემდეგ შენობაში დაბრუნება დაუშვებელია საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს თანამშრომლის/სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის ნებართვის გარეშე.

მუხლი 3. წესრიგის დაცვისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის წესი

1. შპს „თეგეტა მოტორს“-თან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე აკადემიის მფლობელობაში არსებული სასწავლო ფართი აყვანილია ცენტრალიზებული დაცვის სისტემაზე.

თეგეტა აკადემიის დაცვა ხორციელდება 24 საათის განმავლობაში, როგორც ვიდეოთვალთვალის გზით, ასევე, ცოცხალი ძალით.

2. შესაბამისი პასუხისმგებელი პირი უფლებამოსილია/ვალდებულია:

ა) განახორციელოს დაცვის ტექნიკური საშუალებების ექსპლუატაცია და კონტროლი მათ გამართულ მუშაობაზე; დაუყოვნებლივ შეატყობინოს IT სპეციალისტს და აკადემიის დირექტორს დაცვის ტექნიკური საშუალების გაუმართავად მუშაობის შესახებ;

ბ) უსაფრთხოების დაცვის მიზნით არ დაუშვას აკადემიის ტერიტორიაზე უცხო პირთა შესვლა.

გ) აწარმოოს აკადემიის შესასვლელ-გამოსასვლელების კონტროლი და ადევნოს თვალყურს შემსვლელ და გამსვლელ პირებს. ამავდროულად, არ დაუშვას დაცვის ობიექტზე აშკარა ალკოჰოლური, ფსიქოტროპული და ნარკოტიკული ზემოქმედების ნიშნების მქონე და შეიარაღებულ პირთა შესვლა/ყოფნა;

დ) აღკვეთოს აკადემიის ტერიტორიაზე ალკოჰოლური, ფსიქოტროპული და ნარკოტიკული საშუალებების მიღება, ასევე, თამბაქოს მოხმარება კანონმდებლობით აკძალულ ადგილებში, აღნიშნული საშუალებების მომხმარებელ პირებს დაუყოვნებლივ დაატოვებინოს აკადემიის ტერიტორია;

ვ) მეთვალყურეობა გაუწიოს წესრიგისა და უსაფრთხოების წესების დაცვას სასწავლი პროცესში და უზრუნველყოს იმ პირთა მიერ შენობის დატოვება, რომლებიც სასწავლო პროცესის მიმდინარეობას ხელს უშლიან;

ზ) წესრიგის დარღვევისას გამოიყენოს კანონმდებლობით დაშვებულ ყველა ღონისძიება წესრიგის დამრღვევის მიმართ, ხოლო სამართალდარღვევის/დანაშაულის აღმოჩენის შემთხვევაში დაუყოვნებლივ მიმართოს დასახმარებლად საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციას (112).

თ) უზრუნველყოფს აკადემიაში განთავსებული მატერიალური ფასეულობების (ქონების) დაცვა და მიიღოს ყველა აუცილებელ და შესაძლო ზომა მათი დაზიანების/განადგურების თავიდან ასაცილებლად;

ი) შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტებს, საჭიროების შემთხვევაში, აღმოუჩინოს დახმარება, რათა უზრუნველყოფილ იქნას აკადემიის ტერიტორიაზე მათი შეუფერხებელი და კომფორტული გადაადგილება.

მუხლი 4. სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი

1. აკადემიაში არსებობს პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენისთვის საჭირო აუცილებელი აღჭურვილობა და მედიკამენტები.
2. აკადემია უზრუნველყოფს პერიოდულ მომარაგებას პირველადი დახმარებისთვის საჭირო მედიკამენტებით, სამედიცინო დანიშნულების ინვენტარითა და პირადი ჰიგიენის ნივთებით, ისე, რომ აკადემიაში არსებობდეს მათი მუდმივი მარაგი.
3. პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენას უზრუნველყოფს შპს „თეგეტა მოტორს“-თან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე გამოყოფილი შესაბამისი პასუხისმგებელი პირი.
4. პასუხისმგებელი პირი პაციენტის პირველადი გასინჯვის საფუძველზე უფლებამოსილია:

ა) თავად აღმოუჩინოს მას პირველადი სამედიცინო დახმარება;

ბ) გამოიძახოს გადაუდებელი სამედიცინო დამხარება (112) და ფაქტის შესახებ აცნობოს აკადემიის პერსონალს, რათა მათ მოახდინონ პროფესიული სტუდენტის ოჯახის წევრის ინფორმირება.

5. პასუხისმგებელი პირი ვალდებულია პაციენტის გასინჯვის პროცესში დაიცვას სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები, ხოლო მედიკამენტები გამოიყენოს მხოლოდ მათი ვარგისიანობის ვადის გადამოწმების შემდგომ.

მუხლი 5. დასკვნითი დებულებები

1. წინამდებარე წესი ამოქმედდეს დამტკიცების დღიდან.
2. „შპს „თეგეტა აკადემიის“ პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის წესის“ გაუქმება, მასში ცვილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება აკადემიის დირექტორის ბრძანებით.